

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2016 წლის 2 თებერვლის

დადგენილება №1901

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტები) არჩევნების ჩატარების შესახებ“ დებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტები) არჩევნების ჩატარების შესახებ“ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) 23-ე მუხლს დაემატოს მე-10 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„10. ბიბლიოთეკის დირექტორის უფლებამოსილების ვადაა 4 წელი“.

ბ) 42-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კენჭისყრა დასრულდება არჩევნების დღეს, არაუგვიანეს 17 საათისა“.

გ) 43-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კენჭისყრა დასრულდება არჩევნების დღეს, არაუგვიანეს 17 საათისა“.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი

გ. სალუქვაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს

2016 წლის 02 თებერვლის №1901 დადგენილებით

გათვალისწინებული ცვლილებები

(მოქმედ დებულებაში არსებული რედაქციის მითითებით)

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ დებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ დებულებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) 23-ე მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის მე-10 პუნქტი:
არსებული რედაქცია:

10. ბიბლიოთეკის დირექტორის უფლებამოსილების ვადაა 4 წელი.

ბ) 42-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. კენჭისყრა დასრულდება არჩევნების დღეს, არაუგვიანეს 17 საათისა.

ბ) 43-ე მუხლი პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. კენჭისყრა დასრულდება არჩევნების დღეს, არაუგვიანეს 17 საათისა.

ბ) მე-4 მუხლის:

ბ.ა) პირველი პუნქტი ამოღებული იქნეს.

არსებული რედაქცია:

მუხლი 4. არჩევნების დანიშვნისა და გამოცხადების წესი

1. უნივერსიტეტის რექტორის, წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის), ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის), უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, ფაკულტეტის დეკანის, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, ასევე **ბიბლიოთეკის** დირექტორის მორიგი არჩევნები ტარდება 4 წელიწადში ერთხელ. როგორც წესი, აკადემიური საბჭოს შემადგენლობა განახლებას ექვემდებარება ერთი მესამედით უფლებამოსილების ვადის ნახევრის გასვლის შემდეგ. შესაბამისად, აკადემიური საბჭოს მორიგი არჩევნები ტარდება აღნიშნული პერიოდულობის გათვალისწინებით.

პ) 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებული იქნეს.

არსებული რედაქცია:

2. **ბიბლიოთეკის დირექტორის** მორიგი არჩევნები ინიშნება მისი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში – უფლებამოსილების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში. აღნიშნული ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო.

ჟ) 23ე მუხლის მე-10 პუნქტი ამოღებული იქნეს.

არსებული რედაქცია:

10. **ბიბლიოთეკის დირექტორის** უფლებამოსილების ვადაა 4 წელი.

ბ.ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) არჩევნებს ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი, ხოლო რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის), უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისა და ბიბლიოთეკის დირექტორის არჩევნებს ნიშნავს აკადემიური საბჭო. ფაკულტეტის დეკანისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნებს ნიშნავს ფაკულტეტის საბჭო.“

არსებული რედაქცია:

2. აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) არჩევნებს ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი, ხოლო რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის), უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკის დირექტორისა და ფაკულტეტის დეკანის არჩევნებს ნიშნავს აკადემიური საბჭო. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნებს ნიშნავს ფაკულტეტის საბჭო.

ბ.გ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ამ დებულებით განსაზღვრულ დღეებში იგულისხმება კალენდარული დღეები, თუ ამავე დებულებით სხვა რამ არ არის მითითებული. თუ რეგისტრაციის დასრულების ან/და არჩევნების დღე ემთხვევა დასვენების ან უქმე დღეს, რეგისტრაცია გრძელდება/არჩევნები ტარდება მომდევნო სამუშაო დღეს.“

არსებული რედაქცია:

5. ამ დებულებით განსაზღვრულ დღეებში იგულისხმება კალენდარული დღეები, თუ ამავე დებულებით სხვა რამ არ არის მითითებული.

გ) მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის შემადგენლობის თითოეულ წევრს ამტკიცებს აკადემიური საბჭო ღია კენჭისყრის წესით, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.“

არსებული რედაქცია:

3. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის შემადგენლობის თითოეულ წევრს ამტკიცებს აკადემიური საბჭო ღია კენჭისყრის წესით, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით: ფაკულტეტების პროფესორ-მასწავლებელთა წარმომადგენლებს - ფაკულტეტების დეკანების, ხოლო სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელს - სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოს წარდგინებით.

დ) მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. აკადემიური საბჭოს არჩევნების დანიშვნა

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს შემადგენლობის განახლების ან აკადემიურ საბჭოში წარმოქმნილი ვაკანსიის შევსების მიზნით, არჩევნების დანიშვნის თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს უნივერსიტეტის რექტორი.“

არსებული რედაქცია:

მუხლი 9. აკადემიური საბჭოს არჩევნების დანიშვნა

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს შემადგენლობის განახლების ან აკადემიურ საბჭოში წარმოქმნილი ვაკანსიის შევსების მიზნით, არჩევნების დანიშვნის თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს უნივერსიტეტის რექტორი აკადემიური საბჭოს წევრის/წევრების უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო აკადემიურ საბჭოში ვაკანსიის წარმოქმნის შემთხვევაში – შესაბამისი ვაკანსიის წარმოქმნიდან არა უგვიანეს 20 დღის ვადაში. აღნიშნული ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო.

ე) მე-11 მუხლის:

ე.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ახლად არჩეული აკადემიური საბჭოს პირველ სხდომას იწვევს რექტორი არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, მოქმედი აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების ვადის გასვლიდან 5 დღის ვადაში.“

1. ახლად არჩეული აკადემიური საბჭოს პირველ სხდომას იწვევს რექტორი არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან 5 დღის ვადაში.

ე.ბ) მე-4 პუნქტი ამოღებული იქნეს.

არსებული რედაქცია:

4. აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების ვადაა 4 წელი.

ე.გ) მე-6 პუნქტი ამოღებული იქნეს.

არსებული რედაქცია:

6. აკადემიური საბჭოს წევრად პირი შესაძლებელია აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

ვ) მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 12. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) არჩევნების დანიშვნა

უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მორიგი არჩევნების ან წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) წარმოქმნილი ვაკანსიის შევსების მიზნით, არჩევნების დანიშვნის თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს უნივერსიტეტის რექტორი. სენატში ვაკანსიის წარმოქმნის შემთხვევაში, წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) უფლებამოსილების დარჩენილი ვადით მისი წევრი ხდება კანდიდატი, რომელმაც შესაბამის არჩევნებში უფლებამოსილება შეწყვეტილი წევრის შემდეგ ხმების უმეტესი რაოდენობა მოაგროვა. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს არჩევნების დანიშვნის თაობაზე.“

არსებული რედაქცია:

მუხლი 12. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) არჩევნების დანიშვნა

უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მორიგი არჩევნების ან წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) წარმოქმნილი ვაკანსიის შევსების მიზნით, არჩევნების დანიშვნის თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) უფლებამოსილების ამოწურვამდე არა უგვიანეს 45 დღისა. სენატში ვაკანსიის წარმოქმნის შემთხვევაში, წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) უფლებამოსილების დარჩენილი ვადით მისი წევრი ხდება კანდიდატი, რომელმაც შესაბამის არჩევნებში უფლებამოსილება შეწყვეტილი წევრის შემდეგ ხმების უმეტესი რაოდენობა მოაგროვა. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, შესაბამისი ვაკანსიის წარმოქმნიდან არა უგვიანეს 10 დღის ვადაში უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს არჩევნების დანიშვნის თაობაზე. აღნიშნული ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო.

ზ) მე-14 მუხლის:

ზ.ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

1. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) პირველ სხდომას იწვევს უნივერსიტეტის რექტორი (რექტორის მოვალეობის შემსრულებელი), წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) არჩევნების შემდეგ, მოკმედი წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) უფლებამოსილების ვადის გასვლიდან **5 დღის ვადაში.**“

არსებული რედაქცია:

1. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) პირველ სხდომას იწვევს უნივერსიტეტის რექტორი (რექტორის მოვალეობის შემსრულებელი), წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) არჩევნებიდან არაუგვიანეს ორი კვირისა.

ზ.ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„2. ახლად არჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) პირველ სხდომას თავმჯდომარეობს სხდომის უხუცესი წევრი. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.“

არსებული რედაქცია:

2. პირველ სხდომას თავმჯდომარეობს სხდომის უხუცესი წევრი. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

ზ.გ) დამატოს შემდეგი შინაარსის 2¹, 2², 2³ და 2⁴ პუნქტები:

„2¹. ახლადარჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) პირველ სხდომაზე უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საბჭოს მოახსენებს არჩევნების შედეგებს და სხდომის თავმჯდომარეს გადასცემს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა უფლებამოსილების დამადასტურებელ საჭირო დოკუმენტაციას (საარჩევნო ოქმები, მასალები არჩევნების შედეგების, მისი მოწყობის სისწორის, შემოსული საჩივრების, განცხადებებისა და საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენილი ფაქტების და სხვა საარჩევნო ინფორმაციის შესახებ).

2². სხდომის თავმჯდომარე სხდომის მონაწილეებს აცნობს საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას და დოკუმენტაციას.

2³. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა უფლებამოსილების დადასტურების თაობაზე საბჭოს დადგენილებაში შეიტანება ყველა ის პირი, რომლის არჩევა კანონიერად ჩათვალა უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ და დადასტურებულად მიიჩნია სხდომის მონაწილეთა სრული შემადგენლობის უმრავლესობამ.

2⁴. თუ იმ პირთა რაოდენობა, რომლის უფლებამოსილებაც წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატმა) დაადასტურა, სრული შემადგენლობის ნახევარზე ნაკლებია, მაშინ სხდომა წყდება. ახლადარჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მომდევნო სხდომას იწვევს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სრული შემადგენლობის სულ ცოტა ნახევარზე მეტის არჩევიდან 10 დღის ვადაში.“

ზ.დ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„4. წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) თავისი შემადგენლობიდან ხმათა უმრავლესობით, ღია კენჭისყრით ირჩევს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სპიკერს. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც მხარს დაუჭერს საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი ორზე მეტია და ვერც ერთმა ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, იმავე დღეს ორ საუკეთესო შედეგების მქონე პრეტენდენტს შორის გაიმართება

განმეორებითი კენჭისყრა. თუ ამ შემთხვევაშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, 5 დღის ვადაში იმართება წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სხდომა და სპიკერის შერჩევის პროცედურა იმართება ხელახლა.“

არსებული რედაქცია:

4. წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) თავისი წევრების რიგებიდან, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს სპიკერს. სპიკერობის კანდიდატურის წარდგენის (დასახელების) უფლება აქვს სენატის წევრს, ან წევრთა ჯგუფს.

ზ.ე) მე-5 და მე-6 პუნქტები ამოღებული იქნეს.

არსებული რედაქცია:

5. კენჭისყრას ატარებს სენატის მიერ სხდომაზე არჩეული ხმის დამთვლელი კომისია.
6. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც ხმას მისცემს სენატის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი ორზე მეტია და ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, იმავე დღეს უმეტესი ხმების მქონე ორ კანდიდატს შორის ტარდება განმეორებითი კენჭისყრა. თუ ამ შემთხვევაშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, არა უგვიანეს 5 დღის განმავლობაში იმართება წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სხდომა და სპიკერის შერჩევის პროცედურა იმართება ხელახლა. წინა არჩევნებში მონაწილე პრეტენდენტები შემდეგ არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

ზ.ვ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„7. სპიკერი აირჩევა წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.“

არსებული რედაქცია:

7. სპიკერი აირჩევა სენატის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

ზ.ზ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„8. უნივერსიტეტი არჩევნების პროცედურის დამთავრებისთანავე, წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის რეესტრში რეგისტრაციის მიზნით, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას წარუდგენს კანონმდებლობით განსაზღვრულ დოკუმენტაციას.“

არსებული რედაქცია:

8. არჩეულ სპიკერს უნივერსიტეტი არჩევიდან 2 კვირის ვადაში წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სარეგისტრაციოდ, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ზ.თ) მე-9 პუნქტი ამოღებული იქნეს.

არსებული რედაქცია:

9. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) უფლებამოსილების ვადაა 4 წელი.

თ) მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებული იქნეს.

არსებული რედაქცია:

2. რექტორის მორიგი არჩევნები ინიშნება რექტორის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში – უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 30 დღის ვადაში.

ი) მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. კანდიდატთა რეგისტრაცია იწყება ამ დებულების მე-15 მუხლში მითითებული განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ და მიმდინარეობს არანაკლებ 7 დღის განმავლობაში.“

არსებული რედაქცია:

3. კანდიდატთა რეგისტრაცია იწყება ამ დებულების მე-15 მუხლში მითითებული განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ და მიმდინარეობს არანაკლებ 14 დღის განმავლობაში.

კ) მე-17 მუხლის:

კ.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. უნივერსიტეტის რექტორის არჩევნები ტარდება კანდიდატთა რეგისტრაციის დასრულებიდან 7 დღის ვადაში.“

არსებული რედაქცია:

1. უნივერსიტეტის რექტორის არჩევნები ტარდება კანდიდატთა რეგისტრაციის დასრულებიდან 10 დღის ვადაში.

კ.ბ) მე-5 პუნქტი ამოღებული იქნეს.

არსებული რედაქცია:

5. რექტორი აირჩევა 4 წლის ვადით.

კ.გ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. უნივერსიტეტი არჩევნების პროცედურის დამთავრებისთანავე, რექტორის რეესტრში რეგისტრაციის მიზნით, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას წარუდგენს კანონმდებლობით განსაზღვრულ დოკუმენტაციას.“

არსებული რედაქცია:

6. არჩეულ რექტორს უნივერსიტეტი არჩევიდან 2 კვირის ვადაში წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სარეგისტრაციოდ, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კ.დ) მე-7 პუნქტი ამოღებული იქნეს.

არსებული რედაქცია:

7. რექტორის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

ლ) მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებული იქნეს.

არსებული რედაქცია:

2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) მორიგი არჩევნები ინიშნება მისი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში – უფლებამოსილების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში.

მ) მე-19 მუხლის :

მ.ა) მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. უნივერსიტეტი არჩევნების პროცედურის დამთავრებისთანავე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის რეესტრში რეგისტრაციის მიზნით, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას წარუდგენს კანონმდებლობით განსაზღვრულ დოკუმენტაციას.“

არსებული რედაქცია:

12. არჩეულ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (კანცლერს) უნივერსიტეტი არჩევიდან 2 კვირის ვადაში წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სარეგისტრაციოდ, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მ.ბ) მე-13 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

არსებული რედაქცია:

13. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) უფლებამოსილების ვადაა 4 წელი.

მ.გ) მე-14 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

არსებული რედაქცია:

14. ერთი და იგივე პირი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

ნ) მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებული იქნეს.

არსებული რედაქცია:

2. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მორიგი არჩევნები ინიშნება მისი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში – უფლებამოსილების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში.

ო) 21-ე მუხლის :

ო.ა) მე-11 პუნქტი ამოღებული იქნეს.

11. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადაა 4 წელი.

ო.ბ) მე-12 პუნქტი ამოღებული იქნეს.

არსებული რედაქცია:

12. ერთი და იგივე პირი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

პ) 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებული იქნეს.

არსებული რედაქცია:

2. ბიბლიოთეკის დირექტორის მორიგი არჩევნები ინიშნება მისი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში – უფლებამოსილების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში. აღნიშნული ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო.

ჟ) 23-ე მუხლის მე-10 პუნქტი ამოღებული იქნეს.

არსებული რედაქცია:

10. ბიბლიოთეკის დირექტორის უფლებამოსილების ვადაა 4 წელი.

რ) 24-ე მუხლის:

რ.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ფაკულტეტის დეკანის მორიგი არჩევნების ან მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში დეკანის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად არჩევნებს ნიშნავს ფაკულტეტის საბჭო.“

არსებული რედაქცია:

1. ფაკულტეტის დეკანის მორიგი არჩევნების ან მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში დეკანის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად არჩევნებს ნიშნავს აკადემიური საბჭო.

რ.ბ) მე-2 პუნქტი ამოღებული იქნეს.

არსებული რედაქცია:

2. ფაკულტეტის დეკანის მორიგი არჩევნები ინიშნება მისი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში – უფლებამოსილების შეწყვეტიდან არა უგვიანეს 10 დღის ვადაში.

რ.გ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ფაკულტეტის დეკანის არჩევნების დანიშვნის შესახებ ფაკულტეტის საბჭოს მიერ გამოცემული აქტით განისაზღვრება: დეკანობის კანდიდატთა მიმართ წაყენებული მოთხოვნები და წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა, კანდიდატთა რეგისტრაციისა და არჩევნების ჩატარების ვადები. ამავე აქტით დგინდება გამოსაქვეყნებელი განცხადების ტექსტი და მისი გამოქვეყნების თარიღი.“

არსებული რედაქცია:

3. ფაკულტეტის დეკანის არჩევნების დანიშვნის შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ გამოცემული აქტით განისაზღვრება: დეკანობის კანდიდატთა მიმართ წაყენებული მოთხოვნები და წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა, კანდიდატთა რეგისტრაციისა და არჩევნების ჩატარების ვადები. ამავე აქტით დგინდება გამოსაქვეყნებელი განცხადების ტექსტი და მისი გამოქვეყნების თარიღი.

ს) 25-ე მუხლის:

ს.ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. რეგისტრაციაში გატარდება ნებისმიერი პირი, რომელიც აკმაყოფილებს განცხადებაში მოცემულ მოთხოვნებს და გააჩნია შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები. პირის რეგისტრაციაში გატარებისათვის ასევე სავალდებულოა, მის მიერ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის/პასპორტის) და სამოქმედო პროგრამის წარდგენა. კანდიდატებს რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი ფაკულტეტის საარჩევნო კომისია.“

არსებული რედაქცია:

2. რეგისტრაციაში გატარდება ნებისმიერი პირი, რომელიც აკმაყოფილებს განცხადებაში მოცემულ მოთხოვნებს და გააჩნია შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები. პირის რეგისტრაციაში გატარებისათვის ასევე სავალდებულოა, მის მიერ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის/პასპორტის) და სამოქმედო პროგრამის წარდგენა.

2. კანდიდატებს რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი ფაკულტეტის საარჩევნო კომისია.

ს.ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. კანდიდატთა რეგისტრაცია იწყება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ და მიმდინარეობს არა ნაკლებ 7 დღის განმავლობაში.“

არსებული რედაქცია:

3. კანდიდატთა რეგისტრაცია იწყება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ და მიმდინარეობს არა ნაკლებ 14 დღის განმავლობაში.

ტ) 26-ე მუხლის:

ტ.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დეკანის არჩევნები ტარდება კანდიდატთა რეგისტრაციის დასრულებიდან 7 დღის ვადაში.“

არსებული რედაქცია:

1. დეკანის არჩევნები ტარდება კანდიდატთა რეგისტრაციის დასრულებიდან 30 დღის ვადაში.

ტ.ბ) მე-2 და მე-3 პუნქტები ამოღებული იქნეს.

არსებული რედაქცია:

2. კანდიდატების რეგისტრაციის დასრულებიდან არჩევნების დღემდე დროის შუალედში, აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული გრაფიკით, კანდიდატები აკადემიურ საბჭოს საჯაროდ წარუდგენენ სამოქმედო პროგრამებს.

3. აკადემიური საბჭო, არჩევნების ჩატარებამდე არაუგვიანეს 7 დღის ვადაში, შესაბამის ფაკულტეტის საბჭოს ასარჩევად წარუდგენს ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით შერჩეულ არაუმეტეს 3 საუკეთესო კანდიდატს.

ტ.გ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ფაკულტეტის დეკანი აირჩევა ფაკულტეტის საბჭოს მიერ ფარული კენჭისყრით. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.“

არსებული რედაქცია:

4. აკადემიური საბჭოს მიერ შერჩეულ კანდიდატთაგან ფაკულტეტის დეკანი აირჩევა ფაკულტეტის საბჭოს მიერ ფარული კენჭისყრით. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.

ტ.დ) მე-5 პუნქტი ამოღებული იქნეს.

არსებული რედაქცია:

5. ფაკულტეტის დეკანი აირჩევა 4 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი დეკანის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

უ) 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებული იქნეს.

2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მორიგი არჩევნები ინიშნება მისი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში – უფლებამოსილების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში.

ფ) 28-ე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტები ამოღებული იქნეს.

არსებული რედაქცია:

9. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადაა 4 წელი.

10. ერთი და იგივე პირი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.